

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №72  
2018 წლის 20 აგვისტო

## ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილების ( [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 21/12/2017; 190020020.35.143.016456) დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი

დანართი N1

## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი თავი I

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	მათ შორის		2018 წლის გეგმა	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 519.9	15 373.0	5 008.7	10 364.3	14 952.9	3 012.1	11 940.8
გადასახადები	3 039.0	3 083.5	0.0	3 083.5	2 650.0	0.0	2 650.0
გრანტები	9 312.7	10 451.8	5 008.7	5 443.1	10 377.9	3 012.1	7 365.8
სხვა შემოსავლები	2 168.2	1 837.7	0.0	1 837.7	1 925.0	0.0	1 925.0



ხარჯები	9 025.0	8 793.5	130.9	8 662.6	9 459.3	0.0	9 459.3
შრომის ანაზღაურება	1 788.3	1 596.0	0.0	1 596.0	1 911.6	0.0	1 911.6
საკონელი და მომსახურება	1 069.2	963.7	0.0	963.7	1 135.5	0.0	1 135.5
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	91.2	0.0	91.2
სუბსიდიები	4 528.5	4 687.7	0.0	4 687.7	5 156.1	0.0	5 156.1
გრანტები	90.3	18.3	0.0	18.3	23.0	0.0	23.0
სოციალური უზრუნველყოფა	841.9	794.4	0.0	794.4	756.6	0.0	756.6
სხვა ხარჯები	706.9	733.4	130.9	602.4	385.3	0.0	385.3
საოპერაციო სალდო	5 494.9	6 579.5	4 877.8	1 701.7	5 493.6	3 012.1	2 481.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 497.8	6 859.6	4 319.4	2 540.2	7 109.5	4 630.8	2 478.8
ზრდა	7 459.2	6 958.9	4 319.4	2 639.6	8 237.4	4 630.8	3 606.6
კლება	961.4	99.4	0.0	99.4	1 127.8	0.0	1 127.8
მთლიანი სალდო	-1 002.8	-280.1	558.4	-838.5	-1 616.0	-1 618.7	2.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 011.6	-546.1	382.0	-928.1	-1 618.7	-1 618.7	0.0
ზრდა	449.8	382.0	382.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	449.8	382.0	382.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1 461.5	928.1	0.0	928.1	1 618.7	1 618.7	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1 461.5	928.1	0.0	928.1	1 618.7	1 618.7	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-8.8	-266.0	-176.4	-89.6	-2.7	0.0	-2.7
კლება	8.8	266.0	176.4	89.6	2.7	0.0	2.7
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	8.8	266.0	176.4	89.6	2.7	0.0	2.7



ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
---------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:**

დასახელება	2016 წლის	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსულობები</b>	<b>15 481,3</b>	<b>15 472,4</b>	<b>5 008,7</b>	<b>10 463,7</b>	<b>16 080,7</b>	<b>3 012,1</b>	<b>13 068,6</b>
შემოსავლები	14 519,9	15 373,0	5 008,7	10 364,3	14 952,9	3 012,1	11 940,8
არაფინანსური აქტივების კლება	961,4	99,4	0,0	99,4	1 127,8	0,0	1 127,8
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>16 493,0</b>	<b>16 018,5</b>	<b>4 626,7</b>	<b>11 391,8</b>	<b>17 699,4</b>	<b>4 630,8</b>	<b>13 068,6</b>
ხარჯები	9 025,0	8 793,5	130,9	8 662,6	9 459,3	0,0	9 459,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 459,2	6 958,9	4 319,4	2 639,6	8 237,4	4 630,8	3 606,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	8,8	266,0	176,4	89,6	2,7	0,0	2,7
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-1 011,6</b>	<b>-546,1</b>	<b>382,0</b>	<b>-928,1</b>	<b>-1 618,7</b>	<b>-1 618,7</b>	<b>0,0</b>

**მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14 952.9 ათასი ლარის ოდენობით:**

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსავლები	14 519,9	15 373,0	5 008,7	10 364,3	14 952,9	3 012.1	11 940,8
გადასახადები	3 039,0	3 083,5	0,0	3 083,5	2 650,0	0,0	2 650,0
გრანტები	9 312,7	10 451,8	5 008,7	5 443,1	10 377.9	3 012.1	7 365.8
სხვა შემოსავლები	2 168,2	1 837,7	0,0	1 837,7	1 925,0	0,0	1 925,0

#### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 650,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3 039,0	3 083,5	0,0	3 083,5	2 650,0	0,0	2 650,0
საშემოსავლო გადასახადი	984,4	958,2	0,0	958,2	750,0	0,0	750,0
ქონების გადასახადი	2 054,6	2 125,3	0,0	2 125,3	1 900,0	0,0	1 900,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 213,9	1 286,7	0,0	1 286,7	1 240,0	0,0	1 240,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,3	6,3	0,0	6,3	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	46,3	37,2	0,0	37,2	5,0	0,0	5,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	147,8	163,3	0,0	163,3	115,0	0,0	115,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	642,4	631,9	0,0	631,9	540,0	0,0	540,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 377,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>9 312,7</b>	<b>10 451,8</b>	<b>10 377,9</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 312,7	10 451,8	10 377,9
<b>ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები</b>	<b>5 196,8</b>	<b>5 443,1</b>	<b>7 365,8</b>
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 986,7	5 214,1	7 140,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210,1	229,0	225,0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>4 115,9</b>	<b>5 008,7</b>	<b>3 012,1</b>
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 083,3	4 728,4	3 012,1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	856,8	0,0	0,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	0,0	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	175,7	280,3	0,0

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 925,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2 168,2</b>	<b>1 1837,7</b>	<b>1 925,0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	611,4	276,6	310,0
პროცენტები	152,8	15,7	0,0
დივიდენდები	0,0	0,0	0,0
რენტა	458,6	260,6	310,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	446,1	249,4	300,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12,5	11,3	10,0



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	375,5	512,9	415,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	349,0	483,1	385,0
სანებართვო მოსაკრებელი	38,1	79,2	35,0
სატენდერო მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	1,6	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	126,0	231,0	150,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	184,4	171,3	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	26,6	29,8	30,0
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	26,6	29,8	30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 169,6	1 008,2	1 200,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	11,7	40,3	0,0

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 459.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9 025,0	8 793,5	130,9	8 662,6	9 459,3	0,0	9 459,3
შრომის ანაზღაურება	1 788,3	1 596,0	0,0	1 596,0	1 911,6	0,0	1 911,6
საქონელი და მომსახურება	1 069,2	963,7	0,0	963,7	1 135,5	0,0	1 135,5
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	91,2	0,0	91,2
სუბსიდიები	4 528,5	4 687,7	0,0	4 687,7	5 156,1	0,0	5 156,1



გრანტები	90,3	18,3	0,0	18,3	23,0	0,0	23,0
სოციალური უზრუნველყოფა	841,9	794,4	0,0	794,4	756,9	0,0	756,9
სხვა ხარჯები	706,9	733,4	130,9	602,4	385,3	0,0	385,3

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7 109.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8 237.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	38,5	71,9	16,6
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	69,6	3,0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5 432,6	5 785,4	7 085,0
განათლება	1417,3	735,5	560,1
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	327,3	336,7	575,7
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	173,9	26,6	0,0
<b>ს უ ლ</b>	<b>7 459,2</b>	<b>6 958,9</b>	<b>8 237,4</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1 127,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	961,4	99,4	1 127,8
ძირითადი აქტივები	0,7	5,6	0,0
არაწარმოებული აქტივები	960,7	93,7	1 127,8
მიწა	960,7	93,7	1 127,8



**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 250,8	2 140,8	2 494,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 250,8	2 140,8	2 492,8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 250,8	2 140,8	2 484,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	8,8
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	179,2	110,0	125,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 753,3	2 890,1	5 095,1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	2 666,5	2 274,3	4 377,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 666,5	2 274,3	4 377,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1 086,8	615,8	718,0
705	გარემოს დაცვა	1 565,0	1 169,6	1 212,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 061,6	866,0	920,9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	152,3	83,9	36,0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	122,5	0,0	5,1
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	228,6	219,7	250,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 170,4	2 103,5	1 367,7



7061	ბინათმშენებლობა	152,9	270,6	9,7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	490,1	359,3	300,5
7064	გარე განათება	685,5	657,3	707,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	842,0	816,3	350,3
707	ჯანმრთელობის დაცვა	275,0	120,9	95,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	275,0	120,9	95,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 419,9	3 884,3	3 959,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 196,4	2 517,6	2 351,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 154,1	1 299,7	1 533,3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	69,5	67,0	74,1
709	განათლება	2 710,2	2 263,8	2 312,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 640,9	2 253,5	2 312,5
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	69,3	10,2	0,0
710	სოციალური დაცვა	1 160,2	1 069,6	1 036,1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,5	2,0	2,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	824,0	791,9	769,5
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	120,0	175,4	187,6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	213,7	100,0	77,0
	სულ	16 484,2	15 752,5	17 696,7

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1 616.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1 618.7 ათასი ლარის ოდენობით.

### **მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 2.7 ათასი ლარის ოდენობით.

### **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 8.8 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შესაბამისად.

### **მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 225,0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 95,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 125,0 ათასი ლარი;

გ) სარიტუალო მომსახურება – 5,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე ხორციელდება მოვლა-შენახვასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

##### **ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმული შეკეთება, რეაბილიტაცია და მოასფალტება, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, აგრეთვე განხორციელდება გზების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

##### **ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)**

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ხაშურში



ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმული შეკეთება და რეაბილიტაცია. განხორციელდება აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებისა და გზების მოასფალტება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია დაბა სურამში 26 მაისის, წმინდა მარიამის და ლესია უკრაინკას ქუჩების მოასფალტება, ხოლო სოფლებში ქვიშხეთში, ტეზერში და ზემო ოსიაურში გზების მოასფალტება, ასევე დაგეგმილია 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

## **ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიტარიული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია უმეტესადაა დაარჩენილი ცხოველების იზოლაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

### **ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერჯით უზრუნველყოფას.

### **ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება.

### **ბ.გ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

### **ბ.დ. სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულებით სოფელ მიწობში სანიაღვრე არხების მოწყობა.

### **ბ.ე. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დაფინანსება, ასევე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სამუშაოები.

### **ბ.ვ. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.



**ბ.ზ. უმეტეაღყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ტერიტორიიდან მათი იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა.

**ბ.თ. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

**გ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)**

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნებისა და სასასვენებელი პარკების, სკვერების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები, ასევე დაგეგმილია დღესასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებების დაფინანსება.

**გ.ა. მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიზვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეღვას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება.

**გ.ბ. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.

**გ.გ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია.

**გ.დ. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები, დაგეგმილია აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა და დაგეგმილია აგრეთვე 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

**გ.ე. ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 09)**



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში სპორტკომპლექსის კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, დაგეგმილია აგრეთვე 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

### **გ.ვ. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, ასევე დაგეგმილია 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

### **2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

#### **ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 15 საბავშვო ბაღი და სკოლამდელ განათლებას იღებს 1990 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ტეზერი, ბიჯნისი, წალვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული საადმინისტრაციო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია. აგრეთვე გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

### **3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

#### **ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები.

##### **ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-მიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

##### **ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც



სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1390 ბავშვი.

## **ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე.

### **ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
- 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულის „ლესიაობის“ ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ლიტვაში, დამძობილებულ ქალაქ რადვილინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ბელორუსიაში, დამძობილებულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლატვიაში, დამძობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- პოლონეთში, დამძობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- თეატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;
- ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
- 27 სექტემბერი – აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- ფესტივალის „ხაშური – ოქროს შემოდგომა 2018“ ჩატარების ორგანიზება;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა;
- ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;
- 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- დაბა სურამში ფესტივალ „არტგენის“ ორგანიზება;
- სხვადასხვა დონის კულტურული ღონისძიებები.

დაფინანსდება, აგრეთვე:



## **ბ.ბ. სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები და სასწავლო პროცესს გადის 471 მოსწავლე. პროგრამა ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

## **ბ.გ. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

## **ბ.დ. კულტურის ცენტრების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)**

